განმარტებითი ბარათი

ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, შპს „საგა იმპექსი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი კომერციული და საოფისე დანიშნულების ობიექტის არქიტექტურულ ნაწილზე.

მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი 01.13.02.003.095 ფართით 3104.0 კვ. მ. განთავსებულია ბელიაშვილის ქუჩასა და მტკვრის ხეობას შორის. ჩრდილო–დასავლეთით ემიჯნება კერძო მიწის ნაკვეთი, ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთით უსახელო ჩიხი.

პროექტით გათვალისწინებულია ერთი მიწისქვეშა და ოთხი მიწისზედა სართულის აშენება.

–3.00 ნიშნულზე მოწყობილია ავტო ფარეხი 44 ავტომობილზე, სადაც ვხვდებით ეზოს მხრიდან პანდუსის მეშვეობით.

±0.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია სავაჭრო–საგამოფენო დარბაზი, საწყობები(ეზოს მხარეს), ლიფტები და კიბის უჯრედები და სანკვანძები. ამავე დონიდან შიდა ორი კიბის მეშვეობით ვხვდებით ანტრესოლზე(+ 3.30).

+6.60 და +9.90 ნიშნულები ეთმობა საოფისე ფართებს.

+13.20 ნიშნულზე განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი, მცირე კაფე და სველი წერტილები. ამავე ნიშნულზეა გათვალისწინებული დიდი ტერასა პერგოლებით და ლიფტის სამანქანო განყოფილებები.

შენობის კარკასი მონოლითური რკინა–ბეტონისაა. ამავე მასალაშია შესრულებული მთავარი ფასადი ბელიაშვილის ქუჩიდან.

შევსება წვრილი ბლოკისაა.

ეზოს ფასადი ილესება ქვიშა–ცემენტის ხსნარით და იღებება მაღალი ხარისხის საღებავით.

რეგლამენტის პარამეტრები

კ1=1337.0/3104.0=0.4 ; კ2=5547.0/3104.0=1.8 ; კ3= 649.0/3104.0=0.2 ;

კ1– ის მაჩვენებელი მერის გადაწყვეტილებით გაზრდილია 0.2–დან 0.5–მდე

ტექნიკურ– ეკონომიკური მაჩვენებლები

სართულის დასახელება	კიბის უჯრედის ფართი	სასარგებლო ფართი	სველი წერტილების ფართი	დამხმარე ფართი	საბაგხულო ფართი	სულ	სამშენებლო ფართი აივნების გარეშე	კ2	სამშენებლო მოცულობა
გარაჟები ჯამში -3,00	**62**	**1131**	**31**	**72**	**0**	**1296**	**1386**	**0**	**4158**
შოურუმი ±0,00 ნიშნულზე	62	871	62	231	0	1226	1371	1337	4524,3
ანტრესოლი +3,30 ნიშნულზე	62	823	8	0	24	917	1436	971	4738,8
საგამოფენო ჯამში:	**124**	**1694**	**70**	**231**	**24**	**2143**	**2807**	**2308**	**9263,1**
საოფისე ფართი +6,60 ნიშნულზე	62	1143	70	0	71	1346	1366	1366	4507,8
საოფისე ფართი +9,90 ნიშნულზე	62	1086	70	0	112	1330	1312	1312	4329,6
საოფისე ჯამში:	**124**	**2229**	**140**	**0**	**183**	**2676**	**2678**	**2678**	**8837,4**
ტერასა და საკონფერენციო დარბაზი	**62**	**333**	**39**	**31**	**723**	**1188**	**561**	**561**	**1851,3**
ჯამი:	**372**	**5387**	**280**	**334**	**930**	**7303**	**7432**	**5547**	**24109,8**